წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 18 ივლისი 1915 წ. № 47

# საქართველო

ხელის მოწერა [illegible] განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

„განათლების" საზოგადოების გამგეობა აუწყებს რა თავის წევრთა საზოგადოების საპატიო და უხვ ქველმოქმედის

**სოლომონ ქრისტეფორის ძის**

**კიპრიზოვის**

ვერაგულად მოკვლას, სთხოვს დაესწრნენ პანაშვიდს, დღეს 18 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, საკუთარ ბინაზე (ხარფუხში) სოფიის ქუჩაზე № 3. ნიკოლოზის ეკლესიის პირდაპირ.

---

პირველხარისხოვანი

სასადილო

**„კაფე ბორდო"**

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის** 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

**„კაფე პარიზი"**

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

**ირ. ევდოშვილის**

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა

0—11

---

ქალაქის თვითმართველობის

**განცხადება**

რაკიღა დიდძალი წყალი იხარჯება როგორც ლაზარეთებში, ისე მცხოვრებთა მიერ, ქალაქიდან გაუსვლელ ნაწილს აღარა ჰყოფნის წყალი, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს აწვდიან დღიურად 1,500000 ვედროს. ეს ისეთი დიდი რიცხვია, რის იქითაც ავჭალის წყალსადენს ფიზიკურად არ შეუძლიან. ამიტომ ქალაქის თვითმართველობა წინადადებას აძლევს მაღლობ რაიონებში მცხოვრებთ, განსაკუთრებით, ფეთხაინისა, ამაღლებისა, დავითისა, ვერისა, დიდუბისა, ვაგზლის იქითა რაიონს, ხარფუხს, ავლაბარს და ნავთლუღს იქონიონ განსაკუთრებული გეჯები ანუ ბოჭკები, რომ ღამღამობით დაიმზადონ სასმელი წყალი.

1—1

---

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

დვინისა და ნემანის შუა შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. ნარევის ნაპირებზე ისევ ცხარე და სასტიკი ბრძოლებია. ლომჟისა და ოსტროლენკას შუა, მდინარე შკვას შესართავთან გერმანელთა წინამავალნი ეტყობა ნარევის მარცხენა ნაპირზე გადმოსულან, მერე არტილერიაც გადმოუტანიათ და ცდილობენ აქ ფეხის მოკიდებას. როჟანის მიდამოებში, მდინარე ნარევისა და ორჟის შუა გერმანელთა დიდძალ ჯარს უცდია წინ წამოწევა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მდინარე ორჟა მარცხენა ტოტია ნარევისა და როჟანის სამხრეთით ერთვის მას. აქ გერმანელებს ოციოდე ვერსის სიგრძეზე გადმოულახავთ ნარევი, ფეხიც მოუკიდნიათ და ამ ჟამად ცდილობენ დაჭერილ ადგილის გაფართოვებას, რათა შესძლონ თავისუფალი გაშლა და მოქმედება. ვისლის გაღმა ცვლილება არ მომხდარა. არც ვისლისა და ბუგის შუა შეცვლილა რამე, მაგრამ სასტიკი ბრძოლა კვლავ გრძელდება.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი, 16 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 14 ივლისს ზღვის რაიონში ოსმალთა მზვერავი რაზმები სცდილობდნენ რუსის მოდარაჯე სიმაგრეებზე მოახლოვებას, მაგრამ უკუგდებულ იქნეს. ოლთისის მიმართულებით სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი, 16 ივლისი. ოფიციალი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინისა და ნემანის შუა არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნარევის ფრონტზე, სადაც მთელი რიგი სასტიკი ბრძოლისა ჰხდებოდა, საზოგადო ხაზი 15 ივლისიდან არ შეცვლილა. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს, როდესაც არტილერიის შემწეობით მოინდომეს ნარევის მარჯვენა ნაპირზე გამტკიცება, შკვის რაიონში. როჟანის რაიონში ნარევისა და მდ. ორჟის შუა გერმანელები სცდილობდნენ ბლომა ძალებით წინ წამოსვლას, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. მდ. პრუტზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. სეროცკზე—პულტუსკზე ნარევის ორთავ ნაპირას ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ორთავე ძალები პირისპირ შეეჯახნენ. ვისლას მარცხენა ნაპირზე რუსებმა გერმანელთა მოწინავე რაზმებს უკან დაახევინეს გურა-კალვარია-გროიცის მიმართულებით. ვისლისა და ვეპრჟის შუა სრული სიწყნარე ჩამოვარდა. ვეპრჟისა და ბუგის შუა სოფ. მაიდანოსტროვსკსთან და გრუბეშოვის ჩრდილოეთით 14 ივლ. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ტერიატინთან და ამოპოლთან მთელი დღის განმავლობაში რუსები იგერიებდნენ გერმანელთა სწრაფ იერიშებს. 15 ივლისს გერმანელებს კერძო იერიშები მოჰქონდათ მაიდან-ოსტროვსკისთან და სოფ. კულაკოვიცთან. სოკალის მახლობლად რუსებმა მოიგერიეს ავსტრიელთა ორი გააფთრებული იერიში. კამენკთან ექვსამდე ავსტრიელთა პოლკი გადავიდა ბუგზე, მათ კიდეც რამდენიმე რიგი თხრილების აღება მოასწრეს, მაგრამ 15 ივლისს, როცა კვლავ წინ წაწევა მოისურვეს, რუსთა კონტრიერიშებით გადარეკილ იქმნენ მდინარის იქით. სოკალთან და კამენკთან დღე და ღამის განმავლობაში რუსებმა 1,500 ტყვე წამოიყვანეს.**

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რავკის დაცლა.**

შვიდი თვის გამუდმებულ ბრძოლის შემდეგ რუსებს მოუხდათ რავკის დაცლა. ჯერ კიდევ ივნისის დამლევს მცხოვრებთ უბრძანეს გაეტანათ სპილენძეულობა, ფოლადი, რკინა და სხვა. გადატანილ იქნა ფაბრიკა-ქარხნების მანქანები, მილები, თასმებიც კი. გლეხობამ ბრძანებისამებრ დაიწყეს მკა, პურის მოკრება. ნალეწი მთავრობის განკარგულებით მიქონდათ შიდა რუსეთში. ჯარისკაცები ჰშველოდნენ დაუმწიფებელ პურის მოკრებაში. რის მომკა არ შეიძლებოდა, მას იქვე სპობდნენ, ანადგურებდნენ. როცა ჟოველისფერს მორჩნენ ვარშავავენის გზით დაიწყეს მისვლა მოხელეებმა, შემდეგ მცხოვრებლებმა. გახდა საპეროურის მუშაობა. მათ ყოველისფერი გაანადგურეს და ცეცხლსა ც მახვილს მისცეს და ნაოხრებად დაუტოვეს გერმანელებს. განსაკუთრებით განადგურებულ იქნა ჟირარდოვი. ქალაქში დასტოვეს რამდენიმე დედაბერი და მოხუცი კაცი. ივნისის 4-ს საშინელება რამ მოხდა: ნგრევა უზარმაზარ ფაბრიკა-ქარხნებისა ორიოდ წუთში ნაოხრად აქცევდა მათ. ნელნელ ცეცხლის ალი და ხმაურობა ცასა სწვდებოდა. უშველებელი, მოედანი, მთელ რუსეთში ცნობილი „ჟირარდოვის" სახელით, მის გარშემო უმდიდრესი სამანუფაქტურო მაღაზიები ცეცხლის ალში ინთქებოდა. მარტო ერთს სახლში გადაიწვა 2,800 სართავი მანქანა. რის გატანაც ვერ მოასწრეს, ის ჩანთქა ცეცხლმა. ერთსა და იმავე დროს დაიწვა სადგურიც და მის გარშემო დიდი-დიდი შენობები. არც ერთი დიდი შენობა არ დარჩენილა აუფეთქებელი. და აი იმდროს, როდესაც ცეცხლის ზვირთები ცას ჰფარავდა, გერმანელთა ორი ჰაეროპლანი გამოჩნდა, თითქოს ჯოჯოხეთის სურათს ზედმეტი დაგვირგვინება ეჭირვებაო. ჟირარდოვის შემდეგ დანგრეულ და განადგურებულ იქნა გროდზნისკი და ყველა სოფელ-ქალაქი, რაც კი გზად შეჰხვდათ. ასე დამთავრდა ბურა-რავკის გარშემო შვიდი თვის ბრძოლა, რამაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა ორივე მხრიდან. „რ. ს."

**მთავარსარდლის განცხადება.**

მთავარსარდალმა გენ.-ადიუტ. რუზსკიმ 11 ივლისს შემდეგი განცხადება გა-ოსცა: „ბრძოლის ველზე, საიდანაც ეხლა დავბრუნდი, ყველანი ერთსულოვნად იბრძვიან ძლიერი მტრის დასამარცხებლად. სამწუხაროა, რომ ამ საზოგადო მისწრაფებას გერმანელთა დასამარცხებლად ვერ ვხედავ აქ, პეტროგრადის ზოგიერთა ქარხნებში, სადაც მუშაობა შეუწყვეტიათ და უარი განუცხადებიათ სახელმწიფოს თავდაცვის საჭირო იარაღის გაკეთებაზე. ყველა მუშამ უნდა იცოდეს და კარგად ახსოვდეს კიდეც, თვითეული საათი ძვირფასია ჩვენთვის, იგი აძლიერებს ჩვენს ძალღონეს, ხოლო უმოქმედობა ერთი საათის განმავლობაში მრავალ მსხვერპლის ფასად გვიჯდება. ვარწმუნებ მუშებს ჩემი სამხედრო გამოცდილებით, რომ თვითეული ამბავი მუშაობის შეწყვეტის შესახებ მძიმე ლოდად აწვება ჩვენს მებრძოლებს და ბოროტ სიხარულით აფრთოვანებს მძვინვარე მტერსა. თავნებად მუშაობის შეწყვეტა სამშობლოს ღალატის თანასწორად ითვლება. შემდეგისთვის გაფიცვების შეწყნარება ჩემ მხრივ ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია. უკვე განკარგულება მაქვს მიცემული სასტიკი ზომები მიიღონ ქარხნებში წესიერ მუშაობის დარღვევის საწინააღმდეგოდ". („ნ. ვრ.")

**ტყვია-ყუმბარა თანამედროვე ომში.**

„არტილერიის თვიური კრებულის" ბერლინელი გამომცემელი ბ-ნი რონე, სამსახურიდან გასული გენერალ-ლეიტენანტი, Vossische Zeitung-ის" ფურცელზე ეხება ტყვია-ყუმბარების ხმარებას დღევანდელ ომში 15 წლის წინად წინად, როდესაც არტილერიაში პირველად შემოიღეს თანამედროვე სწრაფმსროლი ზარბაზნები, ამათ „ლორმუცელა" დაარქვეს. სინამდვილემ გადააჭარბა წარმოდგენას.

1870—71 წლ. ომში არც ერთს ზარბაზანს არ გაუსროლია 200 ყუმბარაზე მეტი. რუსეთ-იაპონიის ომის დროს თითომ ორჯელ მეტი ყუმბარა გაისროლა. ეხლანდელს ომში გაცილებით მეტს ყუმბარას ხწვავენ. მთელ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გერმანიის არტილერიამ დახარჯა 817,000 ყუმბარა: 479,000—ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ, 338,000—ბრძოლის ველზე, ხოლო სენ-პრივასთან, სადაც საარტილერიო ბრძოლამ უმწვერვალესს სიმწვავეს მიაღწია, დაიხარჯა [illegible]ათი პროცენტი მთელი ზემო-აღნიშნული რიცხვისა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს სულ 954,000 ყუმბარა გაისროლეს. გერმანიის შტაბის ცნობიდან სჩანს, რომ რვა-ვერსიან ფრონტის გასწვრივ, ერთ დღე და ღამის განმავლობაში ფრანგებმა 100,000 ყუმბარა გაისროლეს, მაგრამ ეს ციფრი მაქსიმალური არაა. ფრანგული წყაროების უწყებით, 17 ივნისს, დღის გასმავლობაში, არასის ჩრდილოეთით ფრანგებს გაუსროლიათ 300,000 ყუმბარა, ესე იგი იმდენი, რომელნიც გერმანიას მთელი 1870—71 წლის ომის განმავლობაში.

რონე ამტკიცებს, გერმანელები უფრო გამოზოგვით ეპყრობიან ყუმბარებსო, რადგანაც ამერიკის საარტილერიო ქარხნები მისთვის დახშული არის. რონე უარყოფს იმ ამბავს, თითქოს დუნაიცის ხაზზე, ქარიშხალური ცეცხლის გაჩაღების დროს, ოთხი საათის განმავლობაში შვიდასი ათასი ყუმბარა გაესროლად (ათას ხუთასი ზარბაზნიდან თითოს 470 ჯერ).

300.000 ყუმბარა, რომელიც ფრანგებმა არასთან გაისროლეს, იწონის სულ ცოტა ოთხ ნახევარ მილიონ კილოგრამს. ამდენი ყუმბარის გადასაზიდად საჭირო იქნებოდა 300 საქონლის მატარებელი. თითო ყუმბარა რომ ოცდაათ ფრანკით (დაახლოვებით 11 მ. და ათი შაური) ვიანგარიშოთ, არასთან მომხდარ საარტილერიო ბრძოლა მარტო საფრანგეთს ერთ დღეში დაუჯდა 9 მილიონ ფრანკად.

**გერმანელთა უცერემონიობა**

მიუხედავად სასტიკი აღკრძალვისა, რომ გერმანულად არ ილაპარაკონ, რიგის ბირჟაზე მაინც გახურებული ლაპარაკია. აქაურმა გერმანელებმა საჭიროდ არც კი სცნეს, რომ განკარგულების განცხადება გამოეკრათ. მთელი კრებები სულ გერმანულ ენაზე სწარმოებს. როდესაც ერთი რუსი წამოდგა და მოითხოვა, დადგენილებას რად არღვევთო, მაშინ კომისიის თავმჯდომარე გერმანელს ცინიკურად შეუნიშვნია, თუ გერმანული ენა არ იცი, შეგიძლიან მონახო თარჯიმანი და ისე გაგვაგებინო შენი აზრიო. გერმანელთა თავგასულობა ამაზე იქით ველარ წავა. „რ. ვ."

**რა უჯდება ინგლისს დღევანდელი ომი.**

ომის დაწყებისას პარლამენტმა გადასწყვიტა 1,012 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ივნისის დამლევამდე ყოველ დღიური გასავალი უდრის 2,700,000

გირვანქას; ივლისში აიწია, 3,110,000 გირ. დღითი დღე გასავალი მატულობს. მთავრობა იძულებული ჰხდება ფულით დახმარება შეუმციროს თავის ახალშენებს. მთელ წლის განმავლობაში გასავალი აღემატება 1,300 მილიონ გირვანქა სტერლინგს (გირვანქა სტერლინგი უდრის ათ მანეთს). (ბ. ვ.)

**ბისსოლატი დაიჭრა.**

სოციალისტ-რეფორმისტების ლიდერი ბისსოლატი იზონცოსთან ბრძოლაში დაიჭრა. იგი თავისუფალი მოხალისე იყო და ალპიელ მსროლელთა გვერდით იბრძოდა ავსტრიელთა წინააღმდეგ. (რ. ს.)

**არისტიდ სარგორიო.**

ცნობილი იტალიელი მხატვარი არისტიდ სარგორიო ივნისის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნია ავტრიელებს. დღევან დღლამდე მისი ბედი არავინ უწყოდა. ავსტრიის გაზეთები იუწყებიან, რომ სარგორიო კარგადაა, მას კარგად ეპყრობიან, ჭრილობა უმთელდება. მას ყოველისფერი მიუტანეს, რაც კი დასჭირდებოდა მხატვრობისთვის. ჯერ-ჯერობით სარგორიო მხატვრობას თავს ანებებს, საწერკალამი აუღია და ლექსით დრამასა სწერსო. (რ. ს.)

**ბულგარეთი და ოსმალეთი.**

გაზეთი „დუმა" იუწყება, რომ ბულგარეთმა და ოსმალეთმა უკვე მოლაპარაკება დაასრულეს. ბულგართა ფინანსის წარმომადგენელი სტოინოვი ვენაში მოვიდა ფინანსისტებთან სესხის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ მიზნითვე სტოინოვი ვენიდან ბერლინში მიემგზავრება. (რ, სლ.)

**გერმანელ „პროლეტარების კულტურა"**

გერმანელ სოც. დემოკრატებში განხეთქილება მოხდა ომის საკითხის შესახებ. ამის გამო რეიხსტაგის წევრს გერმ. პროფესიონალ კავშირების მდივანს ლეგინს ფრანკფურტის მიტინგზე უთქვამს შემდეგი: „ომი რომ წავაგოთ, მაშინ მთელი დამარცხების სიმძიმე სოციალ-დემოკრატებს დაგვატყდება თავზე, ვინაიდან იგი ძირიან-ფესვიანად მოსპობს იმ პროლეტარულ კულტურას, რაც დაუჯერებელი ძალღონით შეგვიქმნია დღემდისინ. მაგრამ დღეს მარტო პროლეტარულ კულტურის შესახებ როდია ლაპარაკი, არამედ თვით სახელმწიფოებრივ კეთილდღეობაზე: ჩვენთვის სულ ერთი არ არის ის საკითხი, თუ სად იქნება გერმანიის საზღვრები გავლებული, რეინზე თუ ვისლაზე, ანუ სხვა რომელიმე ადგილზე. ჩვენ უარს არა ვყოფთ სოც. დემოკრატიულ კლასიურ შემეცნებას, მაგრამ ჩვენ პატრიოტულ გრძნობებით ვართ გატაცებული და ვესწრაფვით, რომ ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრების მაღალ კულტურული თვისებანი დავამტკიცოთო. (ბ. ვ.)

**რუსის ციხეები.**

„ლოკ. ან." ასე ახასიაიებს რუსის ციხე-სიმაგრეებს: „ბრძოლა მხოლოდ ეხლა მკაცრდება და ახალს ფაზაში გადადის. რუსის ციხე-სიმაგრეების ჯაჭვი პოლონეთში მშვენივრად შეუიარაღებიათ. ცოცხალი ძალა და სამხედრო მასალა დიდძალი აქვთ. მთელს ევროპაში ასე მცირე მანძილზე არავისა აქვს ესოდენ მტკიცე და გარდაუვალი ციხეები.

**ახალი მოლტკე.**

ნარევის ფრონტზე გერმანელთა კორპუსებს ხელმძღვანელობს გენერალი ფონ-შოლცი. კოვნოსთან იგი იბრძოდა დიდი მოლტკეს ტაქტიკის თანახმად და გამარჯვებაც ჰხვდა. მას ბერლინში ჰინდენბურგის მეტოქეს უწოდებენ. ომის გამოცხადებამდე იგი უფროსობდა მეოცე არმიის კორპუსს ალენშტეინში. დაიბადა 1851 წელს. (ბ. ვ.)

**ოსმალეთის დახმარება.**

მიუხედავად ბულგართა დიპლომატიის რწმუნებისა, რომ გერმანიიდან ოსმალეთში არავის გაუშვებთო, ბულგარეთი ძველებურად განაგრძობს დახმარებას უფრო მეტად, ვიდრე ძველად. ამის გარდა ბულგარეთი არ თაკილობს, რომ თავხედურ გზას დაადგეს და მით დიპლომატიურ დაპირების საზღვრებს გასცილდეს: გოლც-ფაშამ და სანდერს-ფაშამ ბერლინში აცნობეს ოსმალეთის გაჭირვებული მდგომარეობა. გერმანიამ საქმის გამოსასწორებლად გადასწყვიტა არა თუ სურსათისა და იარაღის გაგზავნა, არამედ რამდენიმე გერმანელი პოლკის მიშველება, რომ ოსმალნი გაემხნევებინა. თან ოთხი გენერალი გაუტანებია. ამ დღეებში ეს გენერლები ინკოგნიტოდ მოსულან სოფიაში, რათა პოლკების გადაყვანის საქმე მოეწყოთ. ბულგარეთს კერძოდ კიდეც მოუხერხებია რკინის გზის მოწყობა, ჩვეულებრივ მატარებლის მიმოსვლას აჩერებენ, რა არის მიზანს უფრო მალე მიაღწიონ გერმანელებმაო. „რ. სლ."

**ლიუდვიგ ბავარიელის სიტყვა.**

მიუნხენის გაზეთები გადმოგვცემენ ლიუდვიგ ბავარიელის სიტყვის ნაწყვეტს: „აგერ წელიწადი სრულდება რაც გერმანიამ ავსტრია-ჰუნგრეთი—და ოსმალეთითურთ მთელს ქვეყანას ომი გამოუცხადა. ვინც იფიქრებს, ვითომც ჩვენ ძალ-ღონე გამოგვლეოდეს, იგი სასტიკად შემცდარი იქნება. პირიქით, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ სულ ახალ-ახალი ძალები გამოგვყავს, ხოლო ვინც მათ წინ გაიგზავნენ, ჯერ კიდევ არ დაღლილან. მათი წყურვილია არა შესვენება, არამედ მუდმივ წინ სვლა. ამ ახლო ხანს აღმოსავლეთის ფრონტზე ბედნიერება მომეცა მენახა თვალით თუ ჩვენი სახელოვანი მხედრობა როგორის აღფრთოვანებით მიისწრაფვოდა ახალ-ახალ გამარჯვებისთვის. მაშ მისდიეთ მათს მაგალითს. ბავარიელებს ყველგან ქება-დიდებით იხსენიებენ. (ბ. ვ.)

## ახტალის სამკურნალო ტალახი

სიღნაღის მაზრაში, კახეთის რკინის გზის სადგურ გურჯაანის მახლობლად ძევს ძველის-ძველიდან კარგად ცნობილი, კახეთის გარეთაც-კი, თხელი ტალახიანი ადგილი, რომელიც ნაშთი უნდა იყოს ოდესღაც მომქმედი, ხოლო დღეს-კი ჩამქრალი კრატერისა. ამ ადგილის სახელი „ახტალა" წარმოსდგება არა თათრულ სიტყვა „ალ-თაგლისაგან" (თეთრი მინდორი), როგორც ბევრსა ჰგონია, არამედ წმინდა ქართულ სიტყვა „ახტი"-საგან. მართლაც, ამ ტალახში მობანავე ტალახის ზედაპირზეა გარჩენილი, რადგანაც ფუსფუსით ამომავალი გაზები მის ჩაძირვას ეწინააღმდეგება და ასე ჰგონია ვინმე ქვემოდან ზევით ეწევაო, ახტუნებსო. სხვა და სხვა მიზეზის გამო ყურადღება და ინტერესი ამ სამკურნალო ტალახისადმი ამ ჟამად ფრიად გაცხოველდა. დროს შესაფერისად მიგვაჩნია ჩვენს საზოგადოებას მივაწოდოთ ამ ადგილის შესახებ რამოდენიმე საინტერესო და სულ უკანასკნელი დროის ცნობები სპეციალი გამოკვლევებიდან.

„ახტალის" შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის ბ-ნი ა. რიაბინინი თავის ეტიუდში „კახეთის ქედის გეოლოგიური შენობა" *).

**გურჯაანის სამკურნალო ტალახი.**

სოფელ გურჯაანიდან ორი ვერსის სიშორეზე, კოტეხთან, მუკუზანის გზაზედ მდებარეობს გურჯაანის სამკურნალო ტალახი—**ახტალა.**

ქართულად ეს სახელწოდება ეძლევა საზოგადოთ ყოველგვარ თავმოყრილ ტალახს, რომელიც მინერალ წყლებს თან გამოაქვთ, ძალიან ხშირათ გაზებისა და ნავთის თხელი გარსის თანხლებით. გურჯაანის ტალახი იწყება გზასთან, ნახევარ რკალიან კვერნაკის სახით, რომელზედაც აქა-იქ ამომჯდარია მრავალი სოპკა. სოპკები წარმოადგენენ კონუსის მაგვარ, ხახა-დაბჩენილ მაღლობებს, რომელიც სავსეა მოლურჯო რუხის-ფერ ტალახით. ზოგი სოპკა ეხლა ირკვევა, ზოგის მოხაზულობა დამთავრებულია სავსებით და აქვს დაახლოვებით სამი საჟენიანი დიამეტრი და ერთი-ორი საჟენამდე სიღრმე. ამ გვარი სოპკები სულ ექვსია. არის აგრეთვე ერთი სრულიად მიყუჩებული, გაუქმებული სოპკა, ბალახით დაფარული. მომქმედ სოპკებში ხახის ცენტრში ტალახი მუდამ გუზგუზებს, სიღრმიდან ამომავალი გაზის ბუშტების უცხრომი ამოსვლის წყალობით. ცეცხლის მიახლოვებაზე ეს გაზი მყისვე აიგზნება. ტალახის დაგროვებას, უეჭველია, ხელს უწყობს მიწისქვეშა წყლის სიმრავლე. ძალიან ხშირად ტალახი, ამოავსებს თუ არა სოპკის ხახას, გადმოხეთქს სოპკის ნაპირებს, მიარღვმოარღვევს და გაიჩენს ახალ სადინროს და თავისუფლად გადმოდის სოპკის ფერდებზედ.

რაც შეეხება ნავთსა და გაზებს, ესენი ამოაქვს წყალს უფრო ღრმად მდებარე თიხა-ქვიშიან ნიადაგიდან—რომელსაც წყალი თან შლის, ანამცეცებს და გადააქცევს იმ მოლურჯო რუხის-ფერ ტალახად, რომლითაც სოპკებია ამოგლესილი.

გურჯაანის ტალახის მინერალი შემადგენლობა, დრეიერის ანალიზით, რომელიც ტოროპოვს მოჰყავს და ბევრი სხვათა*) ანალიზითაც, გვიჩვენებს, რომ ახტალა ეკუთვნის იმ სამკურნალო ტიპის ტალახს, სადაც ტუტა—საფუძები მცირე პროპორციით შედის.

„ახტალის თხელი ტალახი შეიცავს 66 პროც. მინერალ წყალს. ამ წყლის ათი-ათასი (10,000) ნაწილი რომ ავიღოთ, აქედან ცამეტი და ექვსას რვა მეათედი ნაწილი (18,608) მაგარ შემადგენელ სხეულებს უჭირავს, რომელთა პროპორცია ანალიზის მიხედვით შედეგია:

| | | |
|---|---|---|
| სუფრის მარილი | (NaCl) | 10,060 |
| ნახშირმჟავული ნატრი | ($Co^3Na^2$) | 2,694 |
| ნახშირმჟავული კალაქვა | ($Co^3K^2$) | 0,173 |
| გოგირდმჟავიანი ნატრი | ($Zo^3Na^2$) | 0,001 |
| მაგნეზი | (MgO) | 0,296 |
| ალიუმინის მჟავარი | ($Al^2O^3$) | 0,076 |
| ტალმანის მჟავარი | ($SiO^2$) | 0,604. |

არც გაზების რაოდენობა არის გამოკვლეული, არც რკინისა და არც გოგირდეული ნაერთების.

ტალახის გარეცხისა და სხვა და სხვა მჟავში მისი გატარების შემდეგ, მისგან რჩება 68 პროცენტი თიხა. (დრეთერის ანალიზი). ტალახს აქვს მწარე-მლაშე გემი.

1908 წლის დაკვირვებამ შემდეგი დამატებითი ცნობები შემატა ახტალის ტალახის დახასიათებას.

უდიდესი სოპკის კრატერიდან დიდძალი გაზი ამოდის. ამ სოპკაში ტალახის სიმხურვალე 4 ივლისს დილით უდრიდა თვრამეტ და შვიდ მეათედ რეომიურის გრადუსს (18,° 7 R), მაშინ როდესაც გარემო ჰაერის სიმხურვალე რეომიურის ოცდაშვიდი გრადუსი იყო. (27° R).

ამავე სოპკის წყალის სიზარქე უდრის ერთსა და თორმეტ მეათედს, (1,012) თანახმად საგეოლოგიო კომიტეტის ლაბორატორიის ანალიზისა, რომელიც მოახდინა ბ. გ. კარპოვმა. ათას კუბიკურ სანტიმეტრ წყალზე მოდის თექვსმეტი და ოთხას ორმოც და ოთხი მეათასედი (16,444) გრამი მშრალი ნაშთი, რომლის შენადგენობა ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| Na | (ნატრი) | 6,053 |
| K | (კალაქვა) | 0,179 |
| Ca | (კალციუმი) | 0,047 |
| Hg | (მაგნეზიუმი) | 0,067 |
| $SiO^2$ | (ტალმანი მჟავარ) | 0,016 |
| Cl | (ქლორი) | 8,657 |
| $Co^2$ | (ნახშირმჟაული გაზი) | 1,400. |

უტყუარია ახტალის ტალახის სამკურნალო თვისება რევმატიზმისაგან. დიდძალი ხალხი ჩამოდის ამიტომაც ამ ტალახებზე სამკურნალოდ არა მარტო სიღნაღიდან, ზაქათალიდან, ლაგოდეხიდან, არამედ თბილისიდან და კიდევ უფრო შორეულ კუთხეებიდან, მიუხედავათ იმისა რომ ჩამოსულებს თავშესაფრად არაფერი გააჩნიათ, გარდა სოფელ კოთხის ქოხმახებისა.

იმ დაბლობში, საცა სოპკებია, არის ოთხი წყარო, რომელსაც მობანავენი ხმარობენ ტალახის მოსაბანად. ამ ოთხიდან მხოლოდ ერთია ცოტად თუ ბევრად მოგვარებული; ამით სოფელ კოთხის მცხოვრებნი სარგებლობენ; დანარჩენი სამი სრულიად მოუგვარებელია, თითქმის უხმარი. იგივე შეიძლება ითქვას ტალახიან სოპკების შესახებაც. როგორც კი მობანავენი სოპკებიდან ამოვლენ, სოპკებისკენ გეშურებიან თავის ჯერის გულმოდგინედ მომლოდინე კამეჩები და შიგ კრატერში ჩაეშვებიან. კამეჩებს თავის მხრივ კვლავ მობანავე კაცები მოჰყვებიან და ასე ამ რიგად. კამეჩის ბალანი, რომელიც ფოფიალობს ტალახში, რასაკვირველია, რომ მობანავე კაცს თუ ქალს ტანზე შემოაჰქდოს. მიუხედავად ასეთი მოუწყობლობისა და უსუფთაობისა აუარებელი ხალხი, მოსული თუ ადგილობრივი, ეტანება ახტალის ტალახს, სწორედ ამიტომ დიდ საჭიროებას შეადგენს საბანაო ადგილების ჯეროვანი მოწყობა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ 1909 წლის ისაეკონომიო მოხსენებაში, რომელიც თბილისის გუბერნიის თავად - აზნაურთა რწმუნებულების მიერ იყო წარდგენილი და შეეხებოდა კონცესიის უფლების გამოთხოვას კახეთის რკინის გზის გასაყვანად, ნათქვამია აგრეთვე, განზრახული რკინის გზა მუშაობას დაიწყებს თუ არა, შესაძლებელი გახდება ამ სამკურნალო ტალახის ფართე გამოყენება და მიღებული იქნება ზომები სამკურნალო კურორტისა და ყურძნით მკურნალობის მოსაწყობად, შვედურ ვარჯიშობის შემოსაღებად და სხვ.

დ. ჩ.

*) გამოცემულია პეტროგრადში საგეოლოგიო კომიტეტის მიერ 1911 წ., 69 რვეულის სახით.

*) **ტოროპოვი:** კავკასიის საექიმო გეოგრაფიის ცდა. 1864 წ. ქ. თბილისი.
**კონდრატე გრუმი.** სრული აღწერა რუსეთის იმპერიაში არსებული მინერალი წყლების, სამკურნალო ტალახების და საბანაო ადგილებისა. პეტროგრადი 1885 წ.
**ჰენრიხ სტრუვე.** მასალები კავკასიის მინერალი, მარილიანი წყლებისა და ტალახების შესასწავლად. თბილისი 1901 წ.
**ვ. მელერი.** სასარგებლო ამონათხარები და მინერალი წყლები კავკასიისა. პეტროგრადი. 1900 წ.

## გოგირდის ისტორია*)

გაზეთ „საქართველოში" № 30 და „ზაკავკ. რეჩში" №№ 131, 132 მოთავსებული იყო შენიშვნები გოგირდის გაყიდვის შესახებ ზოგიერთ პირთაგან, რომელთაც ეს ოპერაცია „სამუხანათო ვაჭრობად" გახადეს. ამ შენიშვნებმა შემდეგში ბ-ნ მაზმანოვის პასუხიც გამოიწვიეს, რომელიც იყო დაბეჭდილი „ზაკავ. რ." № 134.

როგორც დანამდვილებით ვიცით ეს გოგირდი გამოწერილი იყო ფრიდონოვის ფირმისაგან საიმპერატორო კავკასიის სამეურ. საზოგადოების დადგენილებით და თხოვნით, რომ ეს გოგირდი უნდა გასყიდულიყო მხოლოდ მევენახეებზედ და ფუთი 8 მანეთად.

ამ მიზეზით სალვარგარედან ფრიდონოვის ფირმისაგან იყო გამოწერილი გოგირდი, რომლის ერთი ვაგონი მიიღო 25 ივნისს. ამ მიღებულ გოგირდის ნაწილი, როგორც აცხადებს ფრიდონოვის ფირმის მოურავი ბ-ნი ხუნდაძე („ზ. რ." № 132) და ბ-ნი მაზმანოვი (იმავე გაზეთში № 134), ფრიდონოვის ფირმას მიეყიდნა სარიევისათვის და დანარჩენი იყო დახსნილი ვოლჟსკო-კამსკი ბანკისაგან საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნით, რომელსაც უნდა მიეყიდნა ეს გოგირდი ვენახის პატრონებისათვის იაფ ფასად და იქიდან აეყენებინა თავისი ხარჯი.

შესანიშნავი ის არის, რომ ფრიდონოვის ფირმისაგან მიღებულ პირველ პარტიიდგან არც ერთს მევენახეს ერთი გირვანქაც არ მიუღია, რადგანაც, რალაც სასწაულმოქმედების ძალით მთელი ეს მიღებული გოგირდი მხოლოდ ცნობილ ჯიბეტენია ბბ. სარიევისა, კალაბეგოვისა, ოთაროვისა და ლისიციანის ხელში ჩავარდა, რომელთა ტომრებს ფრიდონოვის ფირმის მარკები აქვს და რომელნიც თითო ფუთ გოგირდს ჰყიდიან 17—20 მ.

ძნელი გამოცანა იმაში მდგომარეობს, თუ რა აკავშირებდა ფრიდონოვის ფირმას და სხვა დაწესებულებათ ამ ზემოხსენებულ ჩარჩებთან და რატომ მათ თვითონ არ იკისრეს დაეკმაყოფილებინათ გაჭირვებული ვენახის პატრონები და სინიდისიან ფასად მიეყიდათ გოგირდი?

ბ. ხუნდაძე თავის წერილში, „Преступная спекуляція") თვითონვე ამტკიცებს, რომ მიღებული გოგირდი ფრიდონოვის ფირმისაგან, რომელიც იყო გამოწერილი მხოლოდ მარტო მევენახეებისათვის, იყო გაყიდული კერძო პირებზედ, რომელთაც იგი სპეკულიაციით გააძვირესო. და ცდილობს ამითი გაამართლოს და ბოდიში მოუხადოს საზოგადოების წინაშე ფრიდონოვის ფირმას, რომ გოგირდი იყო გაყიდული ამ პირებზე მისი, ხუნდაძის თბილისში არ ყოფნის დროს, ადგილობრივ დარჩებოდა ან მისი, ბ-ნ ხუნდაძის თანაშემწე, ან არა და თვით ფირმის წარმომადგენელი, რომელთაც კარგად ეცოდინებოდათ დანიშნულება. და ამიტომ ფრიდონოვის ფირმის საქციელის გამოაშკარავება ბ. ხუნდაძისაგან მიიღება მხოლოდ იძულებულ გამოტეხად.

ბ. მაზმანოვი თავის წერილში („ზაკ. რეჩ." № 134) სხვათა შორის ამბობს: რომ ვოლჟსკო-კამსკი ბანკის გარევა გოგირდის სყიდვაში საიმპერატ. სამეურნ. საზოგადოების მხრივ, ადგილობრივი მემამულეთა გაჭირვებით იყო გამოწვეული, რომ ვენახები გადაერჩინათ დალუპვისაგან.

ვოლჟსკო-კამსკი ბანკის მეთაურს, ბ. მაზმანოვს, ბევრმა მემამულეებმა მიმართეს გოგირდის საყიდლად, მაგრამ ზოგს სულ უარი გამოუცხადეს ვითომდა უქონლობის გამო და ზოგიერთს, როგორც მაგალითად ბბ, თ. მ. რ. ვ., ი. გ. ა. და სხვ. თითო ტომარა გოგირდში 65 მ. (ტომარაში 6 ფუთია) გამოართვეს, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერ. სამეურ. საზოგ. დადგენილებით ფუთი გოგირდი უნდა გაყიდულიყო არა 8 მანეთზე ზევით. გლეხკაცები და მემამულენი, რომელთაც ყველა მხრიდან მიატანეს თბილისს, ამრიგად არამც თუ უიმედონი დარჩნენ გოგირდზედ ფრიდონოვის კანტორის და სამეურნეო საზოგადოებაში, არამედ სახსარი მოესპოთ გარედგან მაინც შეეძინათ გოგირდი კერძო პირებისაგან, რადგანაც მთელი გოგირდი ჩავარდნილი იყო სპეკულიატორების ხელში, რომლებმაც საშინელი ფასები დაადეს არა მარტო ახლად გამოწერილს გოგირდს, არამედ ნარჩენს, ძველს გაუყიდავს გოგირდსაც, რომელიც იმყოფებოდა „ფრიდონოვისა" და „ოზიანდერის" ფირმებში.

მთელი გოგირდის ამ სპეკულიატორების ხელში ჩაგდებას ფრიდონოვის ფირმის მიერ მოურავი, ბ. ხუნდაძე იმით ამართლებს და ბოდიშსა იხდის, რომ სარიევზე გოგირდის გაყიდვის დროს თითონ ქალაქში არ იმყოფებოდა. ვაი ამ გამართლებას—ეს ხავსზე ხელის ჭიდილია წყალწაღებულისა, მეტი არაფერი. იქნება საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელმაც ბ. ვ. ასეთი ბოდიში მოიხადოს და სთქვას: როდესაც გოგირდის ფასმა ისე აიწია, რომ ვენახები ოხრდებოდა უწამლოდ—მე თბილისში არ ვიყავიო?

სიმართლის დასამტკიცებლად და ნათელის მოსაფენად ამა საქმეში, აუცილებელ საჭიროებადა ვთვლით, კავკასიის საიმპერატ. სამეურ. საზოგადოებამ ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდოს ყველა ოქმები და საზოგადოების გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება შაბიამან-გოგირდის შეძენასა და გაყიდვას და აგრეთვე ის პირობის წერილები რომლებითაც იგი შეეკრა ფრიდონოვის ფირმას და ვოლჟსკო-კამსკი ბანკს და ის maximum ფასებასა რომელიც ამ საზოგადოებამ დაუდო მათ გოგირდის გასასყიდათ.

ბ. მაზმანოვი, სხვათა შორის, თავის წერილში (Зак. Р. № 134.) ამბობს—ბანკმა იცოდა ის პირობები, რომელიც სუფევდა სარიევისა და ბ. პრეზიდენტის შორის, მაგრამ გაცემა ამ გაყიდულ გოგირდის რომელიმე ნაწილისა იყო შეკრული იმ პირობით, რომ ჯერ უნდა დაკმაყოფილებული ყოფილიყვნენ სოფლის მემამულეები. რა პირობა შეიძლება ყოფილიყო ცნობილ სპეკულიატორისა და დარბაისელ საზოგადოების პრეზიდენტის შორის, ბ. მაზმანოვი დაწვრილებით არ აცხადებს. ყოველმა ესეთმა საიდუმლო მოქმედებამ, რომლითაც შემოსეს გოგირდის სყიდვა-გაყიდვის საქმე, გამოიწვია საზოგადოებაში ის არა თუ „ცრუ მითქმა-მოთქმა" (кривотолки), რომელზედაც ბ. მაზმანოვი აგრე გულნატკენად ლაპარაკობს, არამედ „ნამდვილი თქმა", რომელიც მტკიცე მიზეზმა გამოიწვია.

ქართული ანდაზა იტყვის—„ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ ტრთიო". ასე გახლავთ ბ. მაზმანოვი!

რ—ს—რელი.

*) ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა საიმპერ. სამეურ. საზოგადოების განმარტება, რომელიც არა ჰფანტავს არც ეჭვებს მაზე და არც მის შეხედულობას გვაცნობს მაზმანოვ-ფრიდონოვის და სხ. შესახებ.

რედ.

## ახალი ამბავი

✦ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.** 16 ივლისს კრება ჰქონდა საზოგადოების გამგეობას, რომელზედაც დადგინდა მოწვეულ იქნას გაფართოებული კრება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს წყალდიდობისა და სხვა მიზეზთაგან მოვლინებული უბედურება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და ღონისძიება აღმოაჩინოს ამ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ გამგეობამ მოისმინა ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ ერთდღიურ ფურცლის გამოცემა. ამასთანავე უკანასკნელად დადგინდა ხსენებული ფურცლები ყველა ადგილას გაიყიდოს 26—27 ივლის. აგრეთვე დადგენილ იქნა ეთხოვოს დამხმარე კომიტეტს ბაქოში, დახმარება აღმოუჩინოს შავშელებს და მთელ იმერხევის მხარეს, ამასთანავე ღონისძიება იხმაროს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გახსნის შესახებ ბაქოში, დადგენილ იქნა აგრეთვე, გამგეობამ სთხოვოს პროფესორ ნ. მარს, რომ ლექცია წაიკითხოს რუსულ ენაზე ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად. დასასრულ დადგინდა ეთხოვოს აპ. წულაძეს,

რომ თავისი ხელთნაწერი აჭარლების შესახებ გადასცეს განსახილავად საგანგებო კომისიას.

**აჭარლების სასარგებლოდ.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ 5 ვაგონი სიმინდი გაგზავნა ბათომს ომისაგან დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოდ. ხსენებულმა საზოგადოებამ ათასი მანეთი მიიღო აჭარლების სასარგებლოდ განჯის მუსულმანთა კომიტეტისაგან.

**ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ჩოლოყაშვილს გაუგზავნა გუბერნიის საკრებულოს პროექტი და მასთან ერთად მეფის მოადგილის ცირკულიარი შესახებ იმისა, რომ თბილისის გუბერნიის სოფლები ახალ წესით შეადგენენ სამამასახსილოებს. თავ. ჩოლოყაშვილი წინასწარ უნდა გაეცნოს პროექტს და თავისი შეხედულება მოახსენონ გუბერნატორს პროექტის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ.

**გმირის პატივისცემა.** დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე, თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფი „ედემის" ბაღში სადილს უმართავს პატივსაცემად ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გმირს, წმ. გიორგის კავალერს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის როტმისტრს თავ. დავ. ზაქ.-ძე ჭავჭავაძეს.

**მომრიგებელ შუამავლების დანიშვნის შესახებ.** მეფის მოადგილის თანაშემწემ გოფმეისტერმა პეტერსონმა შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს: მეფის მოადგილემ, იმ აზრით, რომ 1912 წლის 20 დეკემბრის კანონი გლეხების მიერ თავიანთ ნადელების გამოსყიდვის შესახებ დაუყოვნებლივ იქმნას ცხოვრებაში გატარებული, საჭიროდ სცნო მომრიგებელ შუამავალთა თანამდებობაზე კანდიდატების არჩევა გუბერნატორებს აღარ ექვემდებარებოდეს, როგორც აქამდისინ იყო, არამედ მეფის მოადგილის კანცელარია ირჩევდეს კანდიდატებს ადგილობრივ პირობების მცოდნე პირებისაგან. ამიტომ ბ-ნი პეტერსონი სთხოვს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, დაასახელოს უმაღლეს განათლება მიღებული და ადგილობრივ ენების მცოდნენი, რომელნიც მოისურვებენ ხსენებულ თანამდებობის მიღებას.

**საგანგებო კრება.** დღეს, სალამოს 8 საათზე, საგანგებო კრება ექნება თბ. ქალაქის საბჭოს გადამდებ სენთა წინააღმდეგ ღონისძიების გამოსანახავად. კრებამ ამას გარდა ხარჯთაღრიცხვის გარეშე უნდა გადასდოს ფული ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა სიების შესადგენად.

**გადამდები სენი.** 17 ივლისს ქალაქის თავშესაფარში იყვნენ: ქუნთრუშიანი 22, ხუნაგიანი 12, სისხიანი 1 და საოფლიანი 4 კაცი.

**ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი 25 ივლისს დასასვენებლად და საქმოდ მიდის 3 კვირის ვადით.

**საინტენდანტოს** სჭირდება ჯარებისთვის 800 ფუთი ნიორი. უპირატესობა მიეცემა კოოპერატივებს, თუ რომელიმე მათგანი მოახერხებს საქონლის ჩაბარებას.

**აჭარლების სასარგებლოდ.** 25 ივლისს სოფ. ახალქალაქში, მსახიობ ანდრონიკაშვილისა და რომანიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენა გაიმართება ომისაგან დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოდ.

**ღვთის ვედრება.** ხვალ, დილის 2 საათზე, ომის წლის თავზე, ვაჭართა ძერაში პარაკლისი იქნება გადახდილი, რა რუსეთის ძლევამოსილ მხედრობას ტერზე გამარჯვება მოანიჭოს ღმერთმა.

**სასაკლაოს დათვალიერება.** 16 ივლისს ქალაქის სამეურნეო კომისიამ დაათვალიერა ქალაქის სასაკლაო. დათვალიერებას კავშირი აქვს ხორცის შესახებ საკითხის მოწესრიგებასთან.

**ვაჭართა მამასახლისმა** ბ-ნმა მილოვმა მოწერილობა მიიღო სავაჭრო მინისტრისა იმის შესახებ, რომ თბილისის ვაჭართა წრემ თავისი წარმომადგენელი აირჩიოს, რომელიც რუსეთის ვაჭართა დანარჩენ წარმომადგენლებთან ერთად 16 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევაში.

**სამეტეოროლოგიო სადგური.** თბილისის ობსერვატორიის დირექტორის თაოსნობით ახტალაში (ს. გურჯაანს) გაიმართება სამეტეოროლოგიო სადგური.

# ბრძოლის ველიდან

**კორესპონდენტი.**

ძნელი ასაწერია ის

საერთო სურათი ბრძოლის ველისა და მებრძოლის ცხოვრებისა. დღემდის ჩემთვის დაუჯერებელი იყო, რომ იმ ნაზს, ფაქიზსა და გულჩვილ არსებას, როგორიც არის ადამიანი, შესძლებოდა გადატანა იმ ტანჯვა-ვაებისა, რომელიც დღეს წილად ხვდა მას... ჩემს მხედველობას არ ვუჯერებდი როდესაც პირველად ვნახე ბრძოლის ველი და მოწმე გავხდი ადამიანის ნამოქმედარისა...

პირველადვე თვალწინ გეშლებათ ბუნებით მდიდარი კუთხე, თვალგაუწვდენელი მინდორ-ველი, მთა-გორაკიანი ადგილები, დაბურული, აყრილი ტყე... ყველა ეს ხიბლავს ადამიანის გულს. მაგრამ როცა ჩაუკვირდებით ყველა ამას, სულ სხვა სურათი გეშლებათ... ადვილად შეგიძლიანთ შეამჩნიოთ, რომ ყველა ეს ადგილები, რაღაც არა ჩვეულებრივად გამოიყურებიან და თითქოს ზიზღით შესცქერიან ადამიანში გაღვიძებულ მხეცს... ამ მშვენიერ მიდამოებში თქვენ ამჩნევთ ათასგვარ საომარ მომზადებას, უსულო რკინის მანქანებს, რომელთაც გაუშვერიათ ტუჩები მტრის ბანაკისკენ და მოუთმენლად ელიან ადამიანის ბრძანებას, რომ შთანთქან ასობით და ათასობით ადამიანი... მეორე მხრივ ასევე იყურება ჩვენი მოპირდაპირე და ორთავენი ფხიზლად სდარაჯობენ ერთმანეთს, რათა ძმათა სისხლი დაუნდობლივ დაღვარონ. სამოქმედო ასპარეზზედ, ყოველ ფეხის გადადგმაზედ თქვენ შეხვდებით ადამიანთა გვამებს. ზოგს მათგანს ადამიანის სახეც-კი აღარ უჩანს, ზოგი უფეხო და უხელოა... იქვე მახლობლად მუშა ჯარისკაცნი სიცილ-ხარხარით, თითქოს თვითონაც მათთავით მომაკვდავნი არ იყვნენ, სოხრიან გრძელ და ღრმა სასაფლაოებს, სადაც კისკისით სთვლიან და ალაგებენ მოკლულებს. აი ერთი საფლავის წარწერა: „ძმური სასაფლაო, აქ მარხიან ოსმალეთის დახოცილი ჯარისკაცები, რიცხვით 7774 კაცი". —ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთია ბრძოლის ველი და ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ ცრემლები არ მოუვიდეს ამის ნახვაზე

აგერ ვიღაც—ეტყობა მოხევეა ვაჟკაცურად გამოიყურება და თან ხშირად დედას ახსენებს. აგერ მეორეც ცალი ფეხი სრულიად აღარ აქვს. სამშობლოს ეთხოვება... აგერ ოსმალო, რომელსაც თუმცა აწუხებს ჭრილობა, მაგრამ ვერ გაუბედნია ხმის ამოღება. ეს ქარავანი დაჭრილებისა მიდის, მას მოსდევს მეორე და მესამე. და ასე, მთელი დღე მხოლოდ ტანჯვის მნახველი ნერვებ მოშლილი ბრუნდები და... თანდათან შენც ეჩვევი ყველაფერს.

**ოსმალო ოფიცრები.**

დილის ცხრა საათი იყო, რომ ორი ოსმალოს ოფიცერი მოგვიყვანეს, ერთი ერთი მათგანი კაპიტანი იყო, მეორე—პორუჩიკი, ორთავეს სახეზედ მწარე ნაღველი ემჩნეოდა; არავის ხმას არ სცემდნენ, მხოლოდ დრო გამოშვებით თუ ზიზღით გადახედავდნენ ხოლმე ყველას, ვინც ირგვლივ ეხვივნენ. მათ ფრანგული და ოსმალურის მეტი სხვა ენა არ იცოდნენ. მე ოსმალური ვიცი. მივუახლოვდი და დილამშვიდობისა უსურვე, თან ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად. პირველად, ცოტა არ იყოს, ალმაცერად გადმომხედეს, მაგრამ როცა გაიგონეს, რომ მათივე ენაზე ველაპარაკებოდი, ცოტა არ იყოს სიამოვნება იგრძნეს და მოკრძალებით გამომიწოდეს ხელი.

— თქვენ ვინა ბრძანდებით,—შემეკითხა კაპიტანი.

— მე, აქ ვმსახურობ... №-თ,

— არა, მაგას არ გეკითხებით; რომელ სჯულს ემსახურებით?

— მართლმადიდებელი, ქართველი გახლავართ.

— სად ისწავლეთ ჩვენებური ლაპარაკი?

— შემთხვევა მქონდა მემსახურა თქვენ საზღვარზედ.

— ძალიან მოხარული ვართ, რომ შეგვიძლიან ვისთანმე ლაპარაკი—და თუმცა სხვა საგანზედ უნდა ბაასის გაბმა, მაგრამ რადგანაც ჩემთვის სასურველი იყო გამეგო ომის ამბავი, ამიტომ სიტყვა გავაწყვეტინე და შევეკითხე:

— როგორ ჰგრძნობთ თავს ჩვენში?

— ძალიან კარგად, ჩვენ არ დავიჯერებდით, რომ ასე მოგვეპყრობოდნენ, თუმცა როგორც თქვენ სწერთ ჩვენს სიმხეცეზედ, თქვენზედაც ჩვენში ეგრე სწერენ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ თქვენს ტყვეებს ჩვენში ძალიან კარგად უვლიან.

— ეხლა როგორი სულიერი განწყობილებაა თქვენს ჯარში? მგონი დიდ გაჭირვებაში უნდა იყოთ.

— დანამდვილებით ვერ გეტყვით. არ ვიცი ამ წუთში რა ხდება იქ, რადგან ყოველ დღე ცვლილება ხდება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ რამდენიც დღე გადის, ჩვენს ჯარში იმდენი სულიერი აღფრთოვანება მატულობს, რადგან ეს ომი სამკვდრო-სასიცოცხლოა ოსმალთათვის.

რა მიზეზია, რომ სულ მარცხდებით? მგონი იარაღი გაკლიათ, ან მგონი ძალიან უძლურნი ხართ ომისთვის და, დამეთანხმეთ, რუსეთთან ბრძოლა შეცდომით მოგივიდათ...

ამ სიტყვების შემდეგ კაპიტანი ცოტა არ იყოს გაჩუმდა და საშინელი მღელვარება დაეტყო, თან სუნთქვას უმატა... ბოლოს, როგორც იყო, სული მოიბრუნა და გაბედულად მითხრა:

— თქვენ არ გეგონოთ, რომ მე ტყვე ვარ და რამე მეკრძალებოდეს; რადგან ეგ საკითხი აღძარით, გეტყვით: თქვენ, ბატონო, რაღაც არაჩვეულებრივი ხალხი ხართ, თქვენ გგონიათ, რომ თქვენს იქით ადამიანები აღარ ცხოვრობენ... ჩვენ ოსმალნი არც ისე ვართ ჩამორჩენილნი, როგორც წარმოგიდგენიათ; მე ამას თავის საქებურად კი არ ვამბობ, არამედ მინდა სიმართლე აღვნიშნო.

სარაყამიშთან დამარცხების

მიზეზი იყო ქინიანობა ერთ ჩვენი სარდლისა, რომელმაც არ მოუცადა განკარგულებას... მაგრამ ის გაკვეთილი იყო და დღეის იქით სრული უფლება მიეცა სხვას, უფრო გამოცდილს და ფრთხილს. სწერთ, ათი-ათასობით დავხოცეთო. ასე რომ იყოს, ეხლა არც ერთი ჯარის-კაცი აღარ გვეყოლებოდა... სარაყამიშთანაც, სადაც დავსტოვეთ 13,000 კაცი, მეათედიც არ მომკვდარა ტყვიით. დიდი ნაწილი იმსხვერპლა სიცივემ და შიმშილმა, ამის მიზეზიც იყო ჩვენი მთავარსარდლის აჩქარება.

— როდისთვის აპირობთ ომის გათავებას?

— ომს გავათავებთ მაშინ, როცა ჩვენ მიზანს მივაღწევთ. ამაში სრულიად დარწმუნებულნი ვართ...

— ეგ ოცნება და ფანტაზიის ნაყოფია თქვენი.

— ეგ არ ვიცით, მომავალი გვაჩვენებს.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგში თქვენი მოკავშირენი თქვენვე დაგსჯიან...

— მაგაზედ ეჭვიც კი არ გაგვიტარებია გულში...

— ეს ყველა კარგი, კაპიტანო, მაგრამ რა დაგიშავეს თქვენებურმა სომხებმა, რომელთაც ასე სასტიკათ სჯით...

— თქვენ, ბატონო ისეთ საკითხს შეეხეთ, რომ... ჩემთვის არ არის სასიამოვნო, მაგრამ რაკი მკითხეთ, მოკლედ გეტყვით. როგორც თქვენ დიდ რუსეთში, აგრეთვე ჩვენშიც არიან „ხულიგანები" რომელნიც არღვევენ მყუდრო ცხოვრებას... ამაში მთავრობას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. მაგრამ თვით სომხის ხალხზედ ორიოდეს სიტყვას გეტყვით:

თუ სომხების დარბევა ხდება ოსმალეთში, ეს მათივე ბრალია, ვინაიდგან ყოველთვის ხმარობენ, რომ უკანასკნელი სისხლი ამოსწოვონ ჩვენ გაღატაკებულ გლეხობას

მაგრამ ჩვენი სახელმწიფო და თვით ჩვენი ხალხი ფანატიკოსები არიან და მასთან მაჰმადიანები, ამიტომ სხვა ერს ჩვენს თავზედ ვერ გავაბატონებთ...თქვენ მხოლოდ მარტო სომხებზედ გაჰკივით, ხოცავთ და არბევთო. რატომ იმას არა სწერთ, რომ ისინი ჩვენს გლეხობას არბევენ. მაგრამ სად არის სამართალი!...

— ჩვენშიც ცხოვრობენ სომხები, მაგრამ ისინი გაბატონებას არავიზე ცდილობენ...

აქ

სხვებმა შემიშალეს ხელი. მოვიდნენ. უნდა ჩაეწერნათ ტყვეები და ჯარისკაცები შემოიყვანეს საყარაულოდ რის გამო ლაპარაკი შევწყვიტეთ და ერთმანეთს გამოვესალმეთ.

**ოსმალეთის ასკერი. ქართველი მაჰმადიანები.**

სალამო ჟამი იყო, როდესაც ჩემთან ერთი ქართველი ბიჭი მოვიდა და მითხრა: „აქ, ბატონო, ქართველი—თათრები არიან და ლაპარაკი სურთ" მე მაშინვე გავეშურე იქითკენ, სადაც ისინი მუშაობდნენ,—ვკითხე მათ უფროსს ნება მოეცა ლაპარაკისა. დასტური დამცა. მისვლისთავანვე ის ორი გამოვიხმე, ქართულად გავეხმაურე და ხელი ჩამოვართვი. მათ განიზრახეს ხელზედ კოცნა, მაგრამ დროზე გამოვტაცე ხელი. ერთი მათგანი, რომელიც გვარად დადიანი იყო, მეტად ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი იყო; მისი დიდრონი გიშრის ფერი თვალები ცოცხლად დანავარდობდნენ თავის ბუდეებში, მეორე კი უფრო მომცრო ტანისა იყო, გვარად ხუცაძე.—

— ქართველები ხართ ბიჭებო?

— დიახ, შენი ჭირიმე, ქართველი—ოსმალები...

— მერე განა კიდევ ლაპარაკობენ თქვენში ქართულს?

— რასა ბრძანებთ, განა ენის დაკარგვა შეიძლება! პატარაობიდანვე პირველად ქართულს ვსწავლობთ. თუმცა ოსმალებად ვითვლებით, ჩვენს ქალს თავისდღეში ოსმალელ თათარს არ მივცემთ...

— მერე საომრად რომ დარაზმულხართ, ხომ თქვენი ყოფილი სამშობლო კუთხე უნდა გაანადგუროთ.

— ეხ, ჩემო ბატონო, რომ გვკითხამდეს ვინმე, პირს მოვიბრუნებთ და მზად ვართ ჩვენი საქართველო დავიცვათ მაგრამ...—ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა.

— არ გინდა ნახო საქართველო?

— ოღონდ კი მაჩვენონ და იმავე დღეს მომკლან. აი, ბატონო, სწორედ იმიტომ გვინდოდა თქვენი ნახვა. იქნება გვიშუამდგომლოთ რამე, რომ იქით გაგვგზავნონ და არას ვინაღვლით თუ ათჯერ ამაზე მეტი გვამუშავეს.

— არაფერი გაგიათ აჭარის შესახებ?

— როგორ არა ბატონო, ერთმა ქართველმა მღვდელმა გვიამბო, ძალიან გვიხარის რომ ქართველები ეხმარებიან, ჩვენ ბრევლი მტერი გვყავს ბატონო, ბრევლი; იქაც,—ოსმალეთში; აქაც ქართველებს,

რა საკადრისია ფარული ღალატი. თუ რამე სწადიან ჩვენ კაცს, არც პირში დაგერიდება. მაღლა ალლაჰი ხედავს სიმართლეს და ჩვენ ქართველებს არ დააჩაგვრინებს არავის. აი აქა, ბატონო, ეს ორი კაცი ისე ვძულვართ, რომ ლამის არის შეგვჭამონ. აქაც ღალატია და მაბეზღრობა, თორემ ღმერთმა იცის, არას ვაფუჭებთ, სხვაზედ მეტსაც ვაკეთებთ. სხვა ტყვებიც არიან. აი, მაგალითად, ოსმალეთის ჯარის სომეხთა ასკერები, მაგრამ იმათ სულ სხვანაირად ექცევიან. მაინც გულს არ ვიტეხთ, ასე შენისთანა ხალხს რომ ვხედავთ ხოლმე.

მე აღვუთქვი თხოვნა უფროსთან, ჯარისკაცებისთვის ებრძანა თანაბრივი მოპყრობა ყველა ტყვესთან. შემდეგ გამოვეთხოვე და დავშორდი.

**ვ. ს—შვილი.**

# სანატორიუმი „შოვი" რაჭაში

ამ უკანასკნელ ხანებში რაჭის მდიდარ ბუნებასაც გამოუჩნდა დამფასებელი. სამრეწველო, ვაჭრულის მიზნით რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ხომ კაი ხანია სამრეწველო კაპიტალი შეიჭრა და იქაურ ბუნების წიაღიდან დიდძალ თანხებს აგროვებს. ასეთ ბუნების სიმდიდრეთ მსხვილმა კაპიტალმა დაისახა იქ ხე-ტყის წარმოება, რომელმაც კაი ხანია ამ კუთხეში სამრეწველო ხასიათი მიიღო და ენგურ-ცხენისწყლის და რიონის საშვალებით იგი დიდძალი გააქვთ რუსეთსა და უცხოეთშიაც.

ამ ბოლო ხანებში ბუნების მეორენაირ სიმდიდრეს—**მადნეულობის** საქმესაც მიაპყრეს ყურადღება უცხო და შინაური კაპიტალის წარმომადგენლებმა და რაჭა-ლეჩხუმის მთა-გორებში იწყეს კვლევაძიება სხვა და სხვა სიმდიდრეებისა და მის გულში ნაირნაირ მადნეულობებს წაადგენ. არის, მაგ. აქ სპილენძი, ვერცხლი, რკინა, ცარცი, ლიტოგრაფიის და სხვაგვარი საშენებელი ქვები, ალიბასტრი და მრავალი სხვა. არის რაჭაში ნავთის ნიშნები.

მხოლოდ თუ უგზოობის, თუ ადგილების [illegible], უვარო საიჯარო პირობების და სხ. მიზეზების გამო ამ ბუნების სიმდიდრის სასარგებლოთ გამოყენების ხანა ჯერ კიდევ არ დაუდგა საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეს. ბუნების სიმდიდრეთა შორის მხოლოდ ალიბასტრის წარმოებამ მიიღო აქ ფაბრიკული წარმოების ხასიათი. იგი თავდაპირველად ქუთაისში დაწყებული გარეშე თანხით, დღეს ადგილობრივათ, სოფლათ **ჟონეთში** (15 ვერსზე ახლავს ქუთაისის ოსეთის სამხედრო გზაზე) მუშავდება. აქ არის მოწყობილი რიონის პირათ ალიბასტრის საფქვავი ქარხანა, რომელიც დიდძალს აგზავნის დაფქულ ალიბასტრს რუსეთის ყველა ქალაქებში, სადაც კი სახლების სალებავებს ამზადებენ. ესაა ერთათ-ერთი საქარხნო წარმოება ბუნების სიმდიდრისა ლეჩხუმის მხარეზე.

აქვე მექვენას, ხვამლის ძირში ახლახან აღმოაჩინეს საუკეთესო **სპილენძის მადანი**, რომლმის წარმოებას აპირებენ ჩვენებური თანხით ქუთათური ქართველი ვაჭრები და ვნახოთ როგორ წაუძღვებიან ჩვენი ქვეყნის ამ სამრეწველო წარმოებას...

არა ნაკლებ მდიდარია რაჭა-ლეჩხუმი მინერალი, სამკურნალო წყლებით, ბუნების საუცხოვო სანახაობით, ხეობებით, მთა-გორებით, ველებით, ჰაერით და საერთოთ სააგარაკო ადგილებით. რაჭაში უწერის წყალი თავის ბუნებრივი სიკეთით უკვე კაი ხნიდან არის ცნობილი. მხოლოდ უგზოობით, ხელმიუწდომლობით ამ წყალთ ძალის ცოტანი სარგებლობენ. სვანეთში ლაშხეთის მჟავე წყალს დასადარი არ ყავს, მაგრამ ისევ უგზოობის გამო მას მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრი თუ იცნობს, საერთოთ სახელგანთქმულნი არ არიან. სხვა წვრილმან სამკურნალო წყალს და საუცხოვო საგარაკო ადგილებზე ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან მოუსვლელობის გამო მათით მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი თუ სარგებლობენ, სხვებს, შორელებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ...

დღეს კი რაჭის ბუნების ამ სიმდიდრეს გამოუჩნდა მზრუნველი და გამომქვეყნებელი საერთო სარგებლიანობის მიზნით გატაცებული. ეს არის ისევ რაჭის მკვიდრი, მისი ერთგული, უმაღლესი სამკურნალო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზდა ექიმი სიმონ იგივე **შამშედ** (ხალხში წოდებული) **ლეჟავა**, რომელიც ეს 2—3 წელიწადია ცდილობს რაჭის ერთ ერთ საუცხოვო საგარაკო-სამკურნალო ადგილას ონის მახლობლად—„შოვში" მოაწყოს **სანატორიუმი**,—ეს კულტურული დაწესებულება სახალხო ჯანმრთელობის საქმეში.

საუცხოვო ბუნებრივი მდებარეობა ამ სასანატორიუმო ადგილისა და იქაური სამკურნალო წყალი სრული თავდებია იმისა, რომ თუ აქ საგარაკო ადგილს ევროპიული კურორტების, სანატორიუმის სახე მიეცა, მრავალი სნეული და ჯან-ღონე მიხდილი განიკურნება აქაურ ბუნების ტრაპეზზე.

რაჭველ მკვიდრ-თაოსანს ერთგვად დროც შესაფერისი, შეხვდა თავის აზრის განსახორციელებლად. დღევანდელ ომიანობის გამო, როცა ყოველი სახელმწიფო მკაცრად იმიჯნება და ცდილობს ყოველივე დარგი ცხოვრების პირობებისა თავისავე სამშობლოში შექმნას, მისი ბუნებრივი, ქონებრივი, თუ გონებრივზნეობრივი ძალები ააღორძინოს და განავითაროს,—დღეს, ვამბობ მე, კურორტ-სანატორიუმების საკითხი რუსეთის შინაურ ცხოვრებაშიც უპირველეს ადგილზე დგას და მათი მოწყობა-მოგვარებით მთელი სახელმწიფოა დაინტერესებული. მისთვის ბევრს ბჭობენ და თანხებსაც დებენ, რომ ომის მსხვერპლნი ვინც კი მის კლანშებს გადურჩა მკურნალობით, მოვლა-პატრონობით მაინც გადაარჩინონ...

აი ამისთანა დროს უხდება რაჭველ ექიმ შამშე ლეჟავას თავის კეთილი აზრის განხორციელება, შექმნა მიყრუებულ რაჭაში ისეთი კულტურული დაწესებულების, რომლისათვას მას დღესდღეობით დიდძალი, შეიძლება ამხელათ, უმადური შრომა-ენერგიის დაეხარჯება, მაგრამ საშვილისშვილოთ მოსახსენებელ სახალხო საქმის ცოცხალ ძეგლს აიგებს. და ჩვენ რომ მას სახალხო, ნამდვილ დემოკრატიულ შრომის მოყვარეობაში ვიცნობთ, ეჭვი არ გვეპარება ამ დიად საქმეს იგი სრული გამარჯვებით დააგვირგვინებს დ შესძენს ამ მივარდნილ კუთხეს ჩვენი

ქვეყნისას ხსენებულ კულტურულ დაწესებულებას.

თავის იდეიურ შემმართებულების პრაქტიკულათ განხორციელების საქმის ექიმი ლეჟავა აგერ მეორე წელიწადია შეუდგა. მან შეადგინა „შოვის" სენატორიუმის დამხმარე საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დაამტკიცებინა მთავრობას და ამ ოფიციალი საბუთით ხელში იგი როგორც იხელთებს თუ არა თავისუფალ დროს ჩამოირბენს კავკასიის უმთავრეს ქალაქებს ქუთაისიდან მოყოლებული: ბათუმს, ფოთს, თბილისს, ბაქოს და აქ იძენს „შოვის" დამხმარე საზოგადოებისათვის ნამდვილ და საპატიო წევრებს. ამას წინეთ მან უკვე ჩამოიარა ხსენებული ქალაქები და მრავალი თანამგრძნობი მოიპოვა „შოვში" სენატორიუმის დაარსების საქმეს. ქვევით ჩამოთვლილ სიიდან თქვენ დაინახავთ თუ ვინ უთანაუგრძნო მას ამ სახალხო საქმეში. ახლა კი გავაცნობ „საქართველოს" მკითხველებს ექიმ შამშე ლეჟავას მიერ ჩემთვის გადმოცემულ იმ ოქმის შინაარსს, რომელიც დაუდგენია დ. ონში 30 ივნისის კრებაზე.

30 ივნისს სანატორიუმის თაოსან ექიმს მიუწვევია „შოვი"-ს სანატორიუმის დამხმარე საზოგადოების წევრთა კრება თავის ორი წლის ამ საქმეში ნამოქმედარის გასაცნობათ. კრებას წესდების ძალით კანონიერი რიცხვი დასწრებია წევრებისა და ადგილობრივ ექიმ თ-დ ასლან გელოვანის თავმჯდომარეობით, და სტუდენტ მიხეილ გავაშელის მდივნობით განუხილავთ ექ. შ. ლეჟავას ნამოქმედარი ამ საქმეში 1915 წ. განმავლობაში. მომხსენებელს განუმარტავს დამსწრეთათვის დიადი მნიშვნელობა მის მიერ გამოწყობილ საქმისა უპირველეს ყოვლისა სადღეისოთ ომში დაჭრილებისათვის, ნერვებით და ჭლექით ავადმყოფებისათვის, სისხლ-ნაკლულებისა, კუჭის ტკივილებისა და სხ. მისთ.

შემდეგ აღნიშნულია თუ, რა იმოქმედა მან ან სხვებმა „შოვი"-ს საზოგადოების დასახმარებლათ.

1. მას ამოუღია „შოვის" მადნეულ წყლების ნიმუშები და გაუგზავნია რუსეთში შესამოწმებლად. გადაუღია „შოვის" და მისი მიდამოების პლანები სახელმწიფო მიწებისა მთავრობისათვის წარსადგენათ.

2 მაისს მოახსენა საზოგადოებას, რომ იგი იყო ქუთაისსა, თბილისში და ბაქოში საზოგადოებაში თანაგრძნობის მოსაპოებლად. ბაქოშიო, ნათქვამია 30 ივნისის ოქმში, მას შეუძენია ოცი 50 მანეთიანი საპატიო წევრი. იქვე გაუცვნია ეს საქმე ცნობილ ნავთის მწარმოებელ ა. მ. ბენკენდორფისათვის, რომელსაც ექიმის დაწყებული საქმე მოსწონებია და შეპირებია, ოღონდ საქმე გაკეთეთ და მე ათასობით შევეწევი ამ საზოგადოებასაო.

მომხსენებელ ექიმის წინადადებით, კრებას დაუდგენია „შოვი"-ს საზოგადოებისათვის აერჩიათ მზრუნველი დამხმარე პირები, რომლებიც იქნებიან აგრეთვე საპატიო და უბრალო წევრებად რაჭის სენატორიუმის საზოგადოებისა. ასეთი პირები დაასახელეს მთელს კავკასიაში, ქუთაისის გუბერნიაში საერთოდ ისეთ პირებად არჩეულნი არიან: თ-დი იასონ გელოვანი, თ-დი ლევან დადიშკელიანი და ექიმი შამშე ლეჟავა. ზედა-რაჭაში: დავით კერესელიძე, ვექ. კოწია ჯაფარიძე, მიხეილ გავაშელი, ივ. ბიძიშვილი და მღ. იას. კვიკვიძე; ქვედა რაჭაში: ალ. კვიტაშვილი, ისპ. ჩიკვაიძე, მღ. ვლადიმერ ფოფხაძე, მინა ჯაფარიძე, სამსონ დათეშიძე, პლატონ წულუკიძე და ელ. ხმალაძე. ლეჩხუმში: მარ. ვარ. გელოვანი, შოთა გელვანი, ალი გარდაფხაძე და ალ. დადიშკელიანი.

ქუთაისში: დავ. ლორთქიფანიძე, სერგო ბახტაძე, ალექსანდრე საყვარელიძე, ექ. ე. შენგელია, დ. კვირკველია, ექ. დიმიტრი ნაზარიკი, ექ. სიმ. ხეჩინოვი, კოსტ. გოცირიძე, ექ. დ. ჯაფარიძე, კუკური ქიქოძე, რაჟ. დათეშიძე, იაზონ ბაქრაძე, ს. მხეიძე და სხ. ბათომში: ქალ. თავი ი. ანდრონიკაშვილი, ექ. გიგინეიშვილი, სიმ. მდივანი, პ. გამრეკლიძე. ფოთში: ნიკო ნიკოლაძე. ბათ. ჯაფარიძე. სენაკში: ს. ენუქიძე, ზუგდიდში: იონა მეუნარგია, ვლ. ალშიბაია და ერ. დვალი და ხონში: ექ. ჩხიკვიშვილი. ყვირილაში: ვ. ჩხეიძე, ალ. წერეთელი. კავკავში: აისონ ლორთქიფანიძე, გრ. ბურღული და მღ. გ. ნათაძე.

ბაქოში: სიმონ კვიტაშვილი, იოსებ დადიანი, რუბენ ჯაბარიძე, არქიპო კერესელიძე. თფილისში: აბელ იაშვილი, ივ. ედიაშვილი, გრიგოლ დიასამიძე, ივანე გომართელი, ექ. დ. მუხაძე, ალ. ჭიჭინაძე, ი. ლულიაძე, გიორგი ჟურული, ივ. გამრეკლიძე.

დაადგინეს მიიღონ საპატიო წევრებათ ქუთ. გუბერნატორი ლ. ვლად. პატულოვი, სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პ. ფედოროვი და მისი ძმა პროფ. სერ. პ. ფედოროვი, მოსკოვის ქველმოქმედი ნ. ა. შახავსკოი, ა. სუმბათაშვილი, გენ. ივ. ნაკაშიძე, გრაფინია ზერნენკაუ, ვექილი ჩობროვი, თბილისის და ქუთაისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი და ილია ჩიქოვანი, თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლნი სიმ. ალ. მაჭავარიანი და მიხ. ალ. ბენკენდორფი.

ყველა ზემორე დამხმარე პირებს ევალებათ მოუპოვონ „შოვის" საზოგადოებას თანამგრძნობნი და წევრები და მათი გვარები აცნობონ გამგეობას რაჭაში. ამისათვის ექნებათ საკვიტანციო წიგნაკები წევრების ჩასაწერად.

კრებამ იქონია მსჯელობა საზოგადოების წესდების პირველი მუხლის შესახებ და დაადგინა „შოვის" სანატორიუმის საზოგადოების მოქმედება გავრცელებული იყოს მთელ კავკასიაში და მის გარეც. დაადგინეს აგრედვე იშუამდგომლონ, რომ ხსენებულ საზოგადოებას დაეთმოს „შოვის" მიდამოების სახელმწიფო მიწები, რომლებიც საჭიროა სანატორიუმის გასაფართოვებლად.

ასეა დღემდი მოგვარებული ფორმალური მხარე რაჭაში „შოვი"-ს სანატორიუმისა და ვნახოთ ეს ფორმა როდის მიიღებს თავის შესაფერ პრაქტიკულ განხორციელებას და შეისხამს ხორცს.

ამ დღეებში ექიმ ლეჟავას შეპირებია რაჭაში წასვლას და „შოვის" დათვალიერებას ქუთ. გუბერნატორი და სასამართლოს თავმჯდომარე ფედოროვი.

ქუთათური მწიგნობარი.

## გზა და გზა

### ვარსკვლავთა მომიჯნე ქალაქი.

მიხვდით რომელ ქალაქზე მოგახსენებთ? არა? მაშ არ გინახავთ სიღნაღი. აბა გაისარჯეთ, ნახეთ და მაშინ დამეთანხმებით კიდეც. იგი ნამდვილი ვარსკვლავთა მომიჯნე ქალაქია. სახარბიელო რამ არის მისი ადგილ-მდებარეობა. ყოველთვის, როცა თვალი მიმიპყრია, ზღაპარი გაშლილა ჩემს თვალწინა. საამურია მისი მზერა დილით, როდესაც ამომავალი მზე პირველად შესტყორცნის სხივებს და წითელ მანდილით დაუმშვენებს ტურფა მხარ-ბეჭსა, მაგრამ არანაკლებ თვალწარმტაცია იგი ღამით, როდესაც ქალაქიდან გამომკრთალი სინათლე ვარსკვლავებსავით იჭყიტებიან. იქ სიცოცხლე მოგენატრებათ, გგონიათ, ბუნების გამგეს, ბუნების მესაიდუმლეს იქ დაუდვია მისი ბინა. დაბლიდან მწვერვალამდე და მწვერვალის გარე მორტყმული ციხე-გალავანი ხომ აგვირგვინებს ლეგენდარულ სანახაობას და თვალწინ გირდგენთ იმ საზღაპრო ხალხის ცხოვრებას, ვინც მას ჟამსა შინა სასწაულებს სჩადიოდნენ და უგუნური თავგამოდებით ციხე-ბურჯებად დასდგომოდნენ შთამომავლობას, რათა აღსრულებულიყო ნება მათი ზეკაცური სულისკვეთებისა, რომ შთამომავლობის სიცოცხლის გზა და ხიდად გადებულიყვნენ.

გარეგნულ მიმზიდველობას ერთვის სიტურფე თვითმოგზაურობისა. რამდენსაც მაღლა-მაღლა ადიხართ ზიგ-ზაგად შემოკრულ „შოსე-გზითა", როგორც ჩვეულებრივ ამბობენ აქაურები ქვაფენილ გზა-ტკეცილის შესახებ, იმდენად უფრო იხიბლებით. შთაბეჭდილებათა ხროვას თავს ველარ ართვამთ. ისე ჰგრძნობთ, თითქოს ორმაგ მშვენიერების ჯადოს შეეპყროთ: დაბლა კეკლუცი ალაზნის ველის დედოფალა კისკისით ხელს გიქნევთ, სად მიხვალ, მოდი, მშვენიერ გულ-მკერდში მიგიხუტო და ოცნების აკვნით დაგარწიოო, ხოლო მაღლიდან არწივის ბუდედ გადმოკიდული სიღნაღი აღარ გასვენებთ, აბა ჰა, ცოტაც, რა დაგემართა, ამოდი და იგემე სიმშვენიერე ღმერთებთან სიახლოვისაო. და მართლაც, რა სულიერ კმაყოფილებას ჰგრძნობთ: ადიხართ, ხარბად ისუნთქავთ ჰაერს, ვერ სძლებით, გსურთ ერთს ადგილზე გაჩერდეთ, გაინაბოთ, ქანდაკსავით გამოიკვეთოთ და ამ ალიონის ციხე-კოშკთან ერთად უდარაჯოთ კეკლუც მიდამოს და ცეცხლის ბურთს-ცის დედოფალსა!

მაგრამ აი, შეხველით თვით სიღნაღში. რაღაცა კატასტროფა ჰხდება თქვენს განცდილ სიამეში. უეცრივ იფერფლება მისი სილამაზე, თქვენ არ გჯერათ, სწყევლით ბედს, რომ ფეხი მოგტყდათ და აქ ამოხველით. ბოლო ეღება თქვენს ილლუზიებს. საზღაპრო ღმერთების საფარის ნაცვლად აქ ჰხვდებით მეტად პრიმიტიულ ქალაქს. ხავს მოდებული, დამპალი და უსწორ-მასწორო შენობებით, რომელნიც მდებარეობას და დიად ბუნებას ისევე უხდებიან, როგორც კეკლუც ბანოვანს უდრო-უდროოდ ჩაცვენილი კბილები. სიღნაღი, ბუნებისაგან დალოცვილი, სიღნაღი კეკლუც სამოსელით გარეგნულად გამოკვალთული, სიღნაღი მარად განთიადის ფრთის ათასფერა მარათი დამშვენებული ფუქსავატია არსებითად, საცოდავი და საბრალისი, უაღრესად დავრდომილი, რომელსაც თითქოს სიცოცხლეც კი ეზარება და მუხლმოყრილი შემოქმედს მხოლოდ სიკვდილს ღა ევედრება.

მასში ყოველისფერი აღრეულია: ციხე და კოშკი, ქოხმახები, საჯინიბო და სასტუმრო, დუქანი და თუნდა იხეთი დაწესებულებანი, როგორიც გახლავთ ბანკის შენობა. თვით ეს ბანკიც, ღმერთო შეცოდე, რაღაც არ დასაჯერებელი ბებრუხუნა შენობაა, რომლის გვერდით გავლაც კი შიშს მოგგვრით, არ წამოიქცეს და თავზე არ დამაწვესო, შიგნით ხომ ისეთი სიტურფეა, რომ აბლაბუდეთა შესაფერის შენობის იერს მხოლოდ სოფლელი გემოვნებით გაკრული ფარშავანგის ჯვარედინი ფრთა თუ დასჩრდილავს. აქ არა არის რა თვალსაჩინო, რაიც ქალაქის კვალობას მოეთხოვება. ყოველისფერი ძველია, ახალიც აქა-იქ ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც გაცვეთილ ხალიჩაზე უშნოდ ამოხემსილი ადგილები. თვით ისეთი რესტორანიც კი, რომლის სახელიც შორს წასულა პროვინციაში, თქვენ გულს აგირევთ. მისი რაღაც მაღალფარდოვანი სახელი „ფანტაზია" ფანტაზიისას არას გეუბნებათ, პირ-იქით, თუ კი რამ ფანტაზია გაქვთ მის ჭუჭყსა და ვაგლახში შემოსვლისას უნებლიეთ გიქრებათ, მუზა შეჰკეცავს აცქვეტილ ფრთას, ხოლო სიამის ანგელოზი მოჰყვება ქვითინს.

ქალაქი უთაოდ და უგეგმოდ არის გაშენებული. უგნურ ვანდალიზმს ხომ საზღვარი არა აქვს. თვით ამ მეოცე საუკუნეშიაც კი, როდესაც ძველს ნაშთებს მოწიწებით თაყვანსა სცემენ, მხოლოდ სიღნაღლებში უყურებენ ვანდალის თვალით და წერაქვს ჰკრავენ იმ გალავანს და ციხე-კოშკსა, რომელსაც, ვინ იცის, ჩვენი წინაპარნი სისხლის ცრემლებით აშენებდნენ. როგორც ყრუდ შორეულს პროვინციაში, უკედ, სოფელში, ვინმე თავხედი გამოიყენებს ხოლმე უპატრონოდ მიგდებულ კოშკსა, ისე აქ, ამ **ქალაქში**, კოშკები ბინებად გაუკეთებიათ, სახლები დაუდგავთ, თავლებათ, სარდაფებად გადაუკეთებიათ, სამრეკლონი აუგიათ, თითქოს მთელი ხალხის და **საზოგადო** ძალღონით ნაშრომ-ნაამაგდარზე ვისმე რაიმე ზნეობრივი ან ან იურიდიული უფლება ჰქონიყო დაესაკუთრებინა იგი.

ჰრელია თვით ხალხიც. იმ სიმდიდრეს, რაც აქ ტრიალებს, სრცხვილით ორთავე ლოყა უნდა ეწვოდეს. ან სადაა ხალხი! აქ ქუჩა საცოდავად მოღონიალეებს დარჩომიათ. აქა-იქ მოხეტიალე ადმინისტრაციის მოხელე თუ გაგრძნობინებთ, რომ აქ „მოქალაქე" ხალხი უნდა სცხოვრობდესო. გამახსენდა დაბა ცხინვალის ბაზარი, როდესაც აქ მთავარი ქუჩით გავიარე და ვაჭრობის პატარა სურათს ვუყურებდი. ჩარჩობა, ხვეწნა, წასვლა-წამოსვლა, სიარული, მანერა, ჩაცმულობა, ქალების მოგრეხილი „შლიაპები", მოღრეცილი ქუსლები, ყველა ეს გაგონებთ სოფლის სურათებს, იმ სოფლელთა ტიპებს, რომელნიც სცდილობენ ქალაქური სახე მიიღონ და მეტი მატაიკობით ველარც სოფლელთა შორის დარჩენილან და ქალაქისაც ვერა წამოუკუხებიათ რა.

მართლაც, ზღაპრული რამ არის სიღნაღის ჩამორჩენა. ინტელიგენცია სანთლით საძებნელია. ბურთი და მოედანი მხოლოდ ზოკებს დარჩენიათ, ეს იმ ზოკებს, რომელთაც ცხოვრების პრინციპი მხოლოდ ფულის მოგროვებაში დაუნახავთ, ნამდვილად კი გაქონილნი და ჭუჭყიანები ცხოვრების ორფეხა თხუნელების მეტს არას წარმოადგენენ. ისე მოსჩანს, თითქოს სიღნაღი მთელს საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ ამ პარაზიტთა კვების როლის მეტს არას ასრულებდა. მიკვირს, როგორ მოხდა, რომ ის ქალაქი, რომელიც მთელი მხარის ბატონ-პატრონი იყო, რომელმაც ჩანთქა და დაისაკუთრა კახელ გლეხ-კაცობის მამულ-დედული, სიღნაღი, რომელიც ვაჭრობის ცენტრი იყო და არის კიდეც ვიდრე მას პირველობის კვერთხს ხელიდან გამოსტაცებდნენ, საოცარია-მეთქი, ვიმეორებ, როგორ ჩამორჩა ასე რიგად, რომ კულტურის მხრით უბრალო სოფლისთვისაც ვერ გაუსწვრია!

(შემდეგი იქნება)

დ. კახრაძე.

## დეპეშები

**პეტროგრადი**, 15 ივლ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ 1915 წლისთვის დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრი კულომზინი.

მინისტრთა საბჭომ ფინანსთა მინისტრს ნება დართო მოახდინოს 1500 მილიონ მანეთის სესხის ოპერაცია სამხედრო მოთხოვნილებებისთვის.

**ვარშავა**, 16 ივლ. ვარშავის მაზრის მცხოვრებთა კომიტეტი შეუდგა ადგილობრივ მილიციის შედგენას, რომელიც საჭიროებისამებრ პოლიციის სამსახურს გასწევს ვარშავისა და მის მიდამოებში. მაზრების მილიციის ხელმძღვანელად იქნება ვარშავის მილიციის უფროსი.

**ლონდონი**, 16 ივლისი. ლოუსტოფტის მახლობლად ზღვაში ჩასძირეს გემი „მანგარა". ოფიციალი ცნობაა, ვორმუდსკრებსში ანგარმა იფეთქა. მოკვდა ორი მექანიკი და დაიჭრა 9 კაცი რომელთაგან ზოგი—სერიოზულად.

ნორვეგიულ გემ „საგნედალენის" ეკიპაჟი გრიმბსში გადმოსხეს. ეს გემი გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა კვირას. ეკიპაჟს ათი წუთი დრო მისცეს თავის საშველად. შემდეგში ეკიპაჟი შვეციის გეგმა „ლოკემ" წამოიყვანა.

**პარიზი**, 15 ივლ. ცნობა დარდანელის შესახებ. არსებითი ცვლილება არ მომხდარა, თუ მხედველობაში იმას არ მივიღებთ, რომ მოკავშირეთა ჯარმა მარჯვენა ფრონტზე წინ წამოიწია და იმასაც რომ მათმა ავიატორებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის საავიაციო ბანაკს ჩანაკის ჩრდილოეთით და ამით დიდი ცეცხლი წაუკიდეს არე-მარეს.

**სოლუნი**, 15 ივლ. კუნძულ მიტილენიდან იუწყებიან; მოკავშირეთა 13 ჰაეროპლანმა გაანადგურა სმირნის საგაზო ქარხანა.

მოკავშირეთა ფლოტი შეუწყვეტლივ ზარბაზნებს უშენს დარდანელის შიდა სიმაგრეებს.

**ისპაანი**, 15 ივლ. ჩამოვიდა 8 გერმანელი აგენტი, მათშორის 3 ოფიცერია.

**ციურიხი**, 15 ივლ. „ნეი-ციურიხერ-ცაიტუნგ"-ის [illegible] ახლო მომავალში [illegible] ფრანგისა და სამ გერმანელ დეპუტატ სოციალისტთა კომფერენცია—გერმანიის წარმომადგენლად ალბად იქნებიან ბერშტეინი, ჰააზე და კაუცკი.

**სტოკჰოლმი**, 15 ივლ. კალომახიდან იუწყებიან: გარტპულიდან მომავალი ხე-ტყით დატვირთული შვეციის გემი „მადონნა" ჩრდილოეთ ზღვაში ჩაღუპა გერმანიის წყალქვეშამ.

**სტოკჰოლმი**, 16 ივლ. „ფოსიშე ც[illegible] იტუნგის" სიტყვით გერმანიის მთავრ[illegible]ბას არა ჰსურს ახლო მომავალში პასუხ[illegible] გასცეს ამერიკელთა ნოტაზეო. წყალ[illegible] ქვეშათა შემწეობით საზღვაო ბრძოლ[illegible] გაგრძელდება.

**ლოუსტოფტი**, 15 ივლ. გუშინ ნა[illegible] მკრეფია „სალიაცია" და „მცენი" [illegible] მანიის წყალქვეშათა მიერ იქმნენ აფე[illegible]ქებული. მეზღვაურები გადასხეს ლოუ[illegible]ტოფტში.

## ური, ული, თუ ულ-ური

სამწუხაროდ, ქართულ მწერლობაში უცხო სიტყვათა ზედშესრულის ხმარება უკანონოდ შემოვიდა. ყველას კარგად მოეხსენება ქართული ზედშესრულის დაბოლოება ური და ული. ზედშესრულს შემდეგის კანონით ვაწარმოებთ: ვიღებთ სიტყვის ძირს და უმატებთ ურს ან ულს. მაგალითად კაცი-კაცური, ქალი-ქალური უცხო სიტყვების ზედშესრულიც საზოგადოდ ამავე წესით უნდა ვაწარმოვოთ. აი სწორედ ამ მოსაზრებით ჩვენ ვწერდით „ინდივიდური აზრი" და არა ინდივიდუალ-ური, როგორც „სახალხო ფურცელის" „მეწკიპურტეს" ჰგონია.

არსებობს კიდევ მეორე კატეგორია უცხო სიტყვებისა, რომლების სახელი არსებითის და ზედშესრულის დაბოლოვება ერთი და იგივეა. ასეთ სიტყვებს ჩვენ პირდაპირ ვხმარობთ და მხოლოდ ნერალ-ი, გენებოლოში ი-ს ვუმატებთ. მაგალითად, მირალ-ი და სხვები. ამავე კანონით ვაწარმოებთ ისეთ სიტყვებს, როგორიც არის სპეციალ-ი, რეალ-ი, ოფიციალ-ი, სოციალ-ი და სხვ.

ე. ალშიბაია.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**



### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ |
| ჯულფიდან. | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან. | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სა[illegible] |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დ[illegible] |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სა[illegible] |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ. | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |

### თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

### განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.